

საქართველოს კათოლიკეთს
ყოველთვიური მუხბე

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

№3 (327) | 2023

საბა



მარტი



ჩედაძეორის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია
მსოფლიოში..... 5-6

ჩვენი ეკლესია..... 7-9

საბაუნის ქრონიკები 10

ჩანართი: სამოციქულო
ადმინისტრაცია - 30I-IV

კათოლიკური კულინარია..
..... 11

ქრისტეს თანამედროვე
მონაწილე..... 12-13

სოციალური გვერდი - Iner
Georgia 14

სოციალური გვერდი -
Caritas Georgia 15

ახალი წიგნები..... 16

საბავშვო გვერდი..... 17

ინფორმაცია..... 18-19

4 მარტი - სამრევლო გუნდების დირიჟორთა შეხვედრა გორში, 11 სთ-ზე

11 მარტი - თბილისის დეკანატი მინისტრანტების შეხვედრა წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიაში, 11.00 სთ-ზე

18 მარტი - წმ. იოსების დიდდღესასწაული, არლის საკრებულოს დღეობა (ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს 20 მარტს)

25 მარტი - უფლის ხარება, ჭიათურის საკრებულოს დღეობა

26 მარტი - მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966) წ(+1938)

ჭიათურის ხარების ეკლესიის
10 წლისთავი

ჭიათურის ეკლესიას წელს კურთხევიდან ათი წელი უსრულდება. ჩვენი პატარა ეკლესია, რომელიც მუდამ სტუმართმოყვარეა, ხარების სახელზე აიგო. ის ჩვენმა ეპისკოპოსმა, ჯუზეპე პაზოტომ აკურთხა 2013 წელს. კათოლიკური სამრევლო ჭიათურაში მანამდეც არსებობდა, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, გვექონოდა ევექარისტიისა და წმინდა საიდუმლოთა აღსასრულებელი ადგილი, სადაც ერთმანეთს შევხვდებოდით, ერთად გავიზრდებოდით რწმენაში, ერთად შევიგრძნობდით თავს უფლის სახლში.

გვსურს, საქართველოს ყველა კათოლიკემ გაიზიაროს ჩვენი დიდი სიხარული; ამიტომაც 2023 წლის 25 მარტს, შაბათ დღეს, სამრევლოებიდან ვინვეთ წარმომადგენლებს, რათა ჩვენთან ერთად აღნიშნონ ეს დღე. წმიდა წირვა დაიწყება 12 სთ-ზე და მას აღავლენს მეუფე ჯუზეპე პაზოტო.

ჩამოსვლის მსურველებს ვთხოვთ, სამი-ოთხი დღით ადრე დაუკავშირდნენ მამა დანიელესა და მონაზონ ანა მარიას.

ჭიათურის საკრებულო





მარადიული დაპირება!

იმ ოთახის ფანჯრიდან, სადაც მე ვიმყოფები, ნებისმიერ წუთს შემიძლია რომის წმიდა პეტრეს ბაზილიკისა და მოედნის დანახვა; მართლაც რომ შეუდარებელი სილამაზეა! მუდამ გასაოცრად ლამაზი, როგორ იცვლება დრო, ამინდი, ხალხი... როგორ გამიმართლა!

ის, რაც ბევრისთვის, ჩვეულებრივ, მიუწვდომელი და სანატრელია, ჩემთვის ამ დღეებში მიღწევადი, თვალსაჩინო, ხელშესახები გახდა, საკმარისია, მოვისურვო გარეთ გასეირნება და თვალი შევავლო იმ 140 ქანდაკებას, ასე რომ ამშვენებს მოედნის კოლონადას, მოფუსმინო ეკლესიის ზარებს, თოლიათა ჭყვივლს, ქალაქის სირენებს... მაგრამ როგორ შევალწიოთ ეგრეთ ნოდებული „მარადიული“ ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულში?


ახლოს მივდივარ და ვეყრდნობი მოედნის სვეტებს, რომელთაც თითქოს სურთ, რომ ყველა მიმსვლელი გულში ჩაიკრან; შადრევნიდან ამოფრქვეული წყლის რამდენიმე წვეთიც მეშეფება; ვაკვირდები ადამიანებს, ათასნაირი გამომეტყველებით, ათასნაირი ხმით, ათასნაირი ღიმილით... და თითქოს, მაინც ყველაფერი ამ მარადისობის მიღმა რჩება; მზე, მთვარე, ვარსკვ-

ლავები, ქარი უფრო მარადიულია, ვიდრე ეს მარადისობა... მიღმა დარჩენა ნიშნავს ვერ შეიგრძნო ეს მარადისობა... საგნების, ადამიანების, ბუნების მიღმა დარჩენა დღევანდულობის დიდი რისკია: აჩქარებული ტემპი, კომერცია, მანიპულაცია, „მესიჯობა“, „სქროლვა“...

„მოდი და შედი“ - ეს კავშირის, მოწაფეობის, გაზიარების, ახლად დაბადების დასაწყისია. გადიხარ მოედანზე და უცებ სტუმართმოყვარე გარემოში ხვდები, მათ შორის, ვინც აქ შენსავით იმყოფება და მათთანაც, ვინც აქ შენამდე იყო გუშინ, გუშინწინ; შედიხარ ბაზილიკაში და... გაოგნებული რჩები, ისევე როგორც კაცადქმნილი

მამა გაბრიელე ბრაბანდინი CSS

სტიმბათელი, აპოსტოლის ვიკარი აკუმენიზმისა და კულტურის დარგში, წინამძღვარი (აუთისი, ბათუმი, ოზურგათი)



რეაქტორის გვირღი

საიდუმლოს წინაშე, როგორც პანორამის წინაშე, საბურველში რომ გახვევს და ყოველმხრივ აღწევს შენში. ფოტოსურათი, რაც არ უნდა ლამაზი და მკაფიო იყოს, ვერ უკვდავყოფს შენს ძლიერ სურვილს - ამ მარადისობის ნაწილად იგრძნო თავი. მონუსხული, ზანტად მიინევენ წინ, გიზიდავს ეს სინათლე, მშვენიერება, ბრწყინვალეობა, ზემოდან, ქვემოდან, ყოველი ფრაგმენტიდან რომ იფრქვევა, გაზედავ და ვიტყვი, ბაზილიკის ყოველი მტკვრისგან რომ იფრქვევა. ისევ და ისევ ჩერდები დიდებულებითა და სიდიადით სავსე სიცარიელის ქვეშ, რათა ზეცამდე ამაღლდე და დაფარულ სიღრმეებში დაეშვა, რათა შეიგრძნო დედამინა, არანაკლებ ძვირფასი, ვიდრე ზედა სივრცის პოლიქრომული მარმარილოები, გაცვეთილი და ხელახლა აღმოჩენილი გალილეველი მეზადურის სამარხის ირგვლივ, რომელმაც რომში ჩამოაღწია, ჯადოსნურად დაკავშირებული უხილავ ძაფთან, რომელიც ყოველივეზე მაღლა დგას, აერთიანებს დროსა და სივრცეს, რათა ყველაფერი შეკრას ზეცაში, ცათა სასუფეველის ალთქმული გასაღების მეშვეობით...; მყარი ქვა, რომ შემდეგ საყდრად ქცეულიყო; განძი, რომელიც უნდა დავიცვათ, და რომელმაც ნაყოფი უნდა გამოიღოს... გარეთ დარჩენის შემთხვევაში, რამდენი რამ რჩება ამ მარადისობიდან უხილავი და ხელშეუხებელი... ეს ცოდნის, სიყვარულის, დიალოგის ძიებაზე განეული ძალისხმევაა... მიცნობ? „ამათზე მეტად გიყვარვარ?“ კითხვა, რომელიც საუკუნეებს გადასერავს და ორღესული მახვილივით გაივლის გულსა და გონებაში. შედიხარ და განსხვავებული გამოდიხარ: „ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, თქვენი მსახური იყოს“.

რომი მარადიული ქალაქია, მსახურებისკენ თავისი მონოდების წყალობით; მსახურება მათი ერთიანობისთვის, ვისაც სწამს იესოსი; ერთიანობის, რომელიც იცავს და იღებს მათ განსხვავებულობას, ვინც მის კარს გაივლის; გულმონყალების მსახურება ყველა გაჭირვებულისადმი, ახლობელი იქნება ის თუ შორეული: იქნებიან ის ღარიბები, რომლებიც თავშესაფარს პოულობენ მოედნის სვეტებს შორის თუ ომის მსხვერპლნი; მინისძვრის გამო უსახლკაროდ შთენილნი, თუ ადამიანურ სითბოს მოკლებულნი; მსახურება მთელი კაცობრიობისადმი, დიალოგისა და დიპლომატიის გამოწვევის მიღებით; მსახურება სამყაროს მშვენიერებისადმი, რათა დაიცვას და განაახლოს სილამაზე იმ შეუსაბამობის ფონზე, რაც სიღარიბესა და სიმდიდრეს, ტექნოლოგიასა და პროგრესს შორის გამეფებულა.

რომი, მარადიული ქალაქი, რომელიც მუდამ მოსაქცევად იხმობს ყველას: პეტრედან პავლამდე, რომელიც კლემენტედან ეგნატე ანტიოქიელამდე, ირინეო ლიონელიდან რომაელ ლორენცომდე, აგნესადან ცეცილიამდე, ნინოდან... დიახ, ყველა ქრისტიანამდე; და ჩვენც, საქართველოში, არ შეგვიძლია არ გავხდეთ შენაკადი იმ მდინარისა, რომელიც „ალხენს ღვთის წმინდა ქალაქს“, თავად ღმერთმა რომ დააფუძნა სამარადისოდ.

ესეც ამ დიდმარხვის მონოდება - „მოდი და შედი“; შედი შენს შინაგან სამყაროში: დაე, შენი გული იყოს ოთახი, სავანე, ქალაქი... და „ჩვენ მოვალთ მასთან და დავმკვიდრდებით მასში“; რა დიდებული და მშვენიერი დაპირებაა!



უნმიდესი ფრანცისკას მე-40 სამოციქულო მოგზაურობა

31 იანვრიდან 5 თებერვლამდე პონტიფექსი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ სუდანს სტუმრობდა. 31 იანვარს პაპი ფრანცისკე კონგოს დედაქალაქ კინშასაში ქვეყნის პრეზიდენტს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და დიპლომატიური კორპუსის წევრებს შეხვდა. 1 თებერვალს დედაქალაქის აეროპორტში პონტიფექსმა წმიდა წირვა აღავლინა. 2 თებერვალს კინშასას ნუნციატურაში ფრანცისკე ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებს შეხვდა და მათი ამბები მოისმინა. „სიტყვებს ვერ ვპოულობ... აქ, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა კუთხეში, ჩვენი მრავალრიცხოვანი დები და ძმები ძლიერთა



მძევლებად იქცევიან. დღეს ჩემი გული ამ დიდი ქვეყნის აღმოსავლეთშია. ღმერთს უყვარხართ. მას არ დავინყებინართ. ადამიანებმაც არ უნდა დაგივიწყონ. ნუ შეურიგდებით თქვენს ხვედრს, სასოს ნუ წარიკვეთთ, ხელებს ნუ ჩამოუშვებთ და გჯეროდეთ, რომ უკეთესი მომავლის აშენებას შეძლებთ“, - აღნიშნა პაპმა. იმავე დღეს კინშასას სპორტულ არენაზე პაპი კონგოს ახალგაზრდა კათოლიკეებს შეხვდა. „ამ ქვეყნის მომავალი თქვენს ხელშია. ყველა ხელი თითქოს ერთმანეთს ჰკავს. მაგრამ გაიხსენეთ კაენი და აბელი. აბელმა გაშლილი ხელით მიუტანა ღმერთს მინის ნაყოფი, კაენმა კი ხელი ძმაზე აღმართა და მოკლა იგი. მთავარია, სწორი არჩევანი გააკეთოთ, და თქვენი ხელებით დამყარდება მშვიდობა, რომელიც დღეს ასე აკლია თქვენს ქვეყანას“, - მიმართა პაპმა ახალგაზრდებს.



3 თებერვალს პონტიფექსი სამხრეთ სუდანს ეწვია. ამ ეკუმენურ მოგზაურობაში პაპს კენტერბერის მთავარეპისკოპოსი და შოტლანდიის ეკლესიის გენერალური ასამბლეის მოდერატორი ახლდნენ. ვიზიტის მსვლელობისას ფრანცისკე ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების გამო იძულებით გადაადგილებულებს და ეკომიგრანტებს შეხვდა. „სამწუხაროდ, ლტოლვილობა თქვენს ქვეყანაში ჩვეულ მოვლენად იქცა. მაგრამ მომავალს არ სჭირდება ლტოლვილთა ბანაკები და კარვები. მას ძმობა და შერიგება, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული სჭირდება“, - მიმართა პაპმა შეკრებილებს. 4 თებერვალს ქვეყნის დედაქალაქ ჯუბაში უწმიდესმა ფრანცისკემ კენტერბერის მთავარეპისკოპოსთან და შოტლანდიის ეკლესიის გენერალური ასამბლეის მოდერატორთან ერთად ეკუმენური ლოცვა აღავლინა. 5 თებერვალს, წმიდა წირვის დასრულების შემდეგ, უწმიდესმა ფრანცისკემ მადლობა გადაუხადა სამხრეთ სუდანის მკვიდრთ მასპინძლობისთვის. „იმედი - ეს ის სიტყვაა, რომელიც სხვებს უნდა გაუზიაროთ; ეს თესლია, რომელიც ნაყოფს გამოიღებს. და კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც ამ დღეებში არაერთხელ გაჟღერდა - მშვიდობა. ვლოცულობ იმისთვის, რომ თქვენი მომავალი ამ სიტყვებით იყოს განათებული“, - აღნიშნა ფრანცისკემ.

უნმიდესი ფრანცისკას სამძიხარი მინისძვრით დაზარალებულებს

უწმიდესი პაპის სახელით სახელმწიფო მდივანმა, კარდინალმა პიეტრო პაროლინიმ სამძიხრის დეპუტეები გაუგზავნა წმიდა საყდრის დესპანებს თურქეთსა და სირიაში, მთავარეპისკოპოს მარეკ სოლჩინსკისა და კარდინალ მარიო ძენარის. „პაპი ლოცულობს დაღუპულთა სულებისთვის და მათ-


თვის, ვინც დაღუპულებს დასტირის“, - წერს პიეტრო პაროლინი. პირველი დახმარების სახით იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციამ დაზარალებულ რეგიონებში 500 000 ევრო გაგზავნა. სირიაში კათოლიკე ეკლესია უსახლკაროდ დარჩენილებს ტაძრებში იფარებს და სავსე სამზარეულოებს აწყობს. კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციები დაზარალებულებს საკვები პროდუქტებით, ტანსაცმლით და ჰიგიენის საშუალებებით ეხმარებიან. 15 თებერვლის მონაცემებით, მინისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა ორმოც ათასს გადააჭარბა.

ლიტურგიული ცვლილებები უკრაინის ბერძნული წესის კათოლიკურ ეკლესიაში

1-2 თებერვალს გამართული სინოდის განჩინებით, 2023 წლის 1 სექტემბრიდან, ანუ ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისიდან, უკრაინის ბერძნული წესის კათოლიკე ეკლესია უძრავ დღესასწაულებს, როგორცაა შობა, ნათლისღება, ფერისცვალება და ა. შ., გრიგორიანული კალენდრით აღნიშნავს. მოძრავი დღესასწაულები - აღდგომა, ბზობა, ამალღება და სულთმოფენობა კი კვლავინდებურად იულიუსის კალენდრით იხეიმება. მთავარეპისკოპოსმა სვიატოსლავ შევჩუკმა აღნიშნა, რომ ბოლო დრომდე კალენდრის საკითხი დავის საგანი იყო უკრაინის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიაში, თუმცა ახლა მრევლის 90% რეფორმის მომხრეა.

ნიკარაგუელ ეპისკოპოსს „სამშობლოს ღალატისთვის“ 26-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

10 თებერვალს დანიელ ორტეგას რეჟიმმა მათაგალპას ეპისკოპოსს, რონალდო ალვარეს ლაგოსს „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით 26-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენის გამოტანამდე ერთი დღით ადრე, დიქტატურამ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით



ამერიკას გადასცა ორას ოცდაორი პოლიტიკური პატიმარი. მათთან ერთად ქვეყანა ეპისკოპოს ალვარესსაც უნდა დაეტოვებინა, თუმცა მან დარჩენა გადაწყვიტა და განაცხადა, რომ არ დატოვებდა თავის სამწყოს, რომელიც ორტეგას დიქტატურის რეპრესიებისგან იტანჯება. „უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა ორტეგას სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ. ასევე უნდა დავიხსნათ დარჩენილი პოლიტპატიმრები, მათ შორის, მამაცი ეპისკოპოსი რონალდო ალვარესი, რომელმაც უარი თქვა თავისი სამწყოს დატოვებაზე“, - აღნიშნა წარმომადგენელთა პალატის წევრმა, გლობალური ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა კრის სმიტმა. 9 თებერვალს დეპორტირებულ პოლიტპატიმართა შორის ოთხი კათოლიკე მღვდელი და სემინარიის რამდენიმე სტუდენტი. მანაგუას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დეპორტაცია განხორციელდა „ქვეყანაში მშვიდობის დაცვის, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების და მესამე პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მიზნით“.

უფლის ტაძრად წარდგენა

2 თებერვალს კათოლიკე ეკლესია აღნიშნავს უფლის ტაძრად წარდგენის დღესასწაულს, რომელიც აღმოსავლურ ეკლესიაში „მირქმის“ სახელით არის ცნობილი. ლიტურგიულად ამ დღეს იერუსალიმის ტაძარში უფლის წარდგენა მოიხსენიება. ამის შესახებ მოთხრობილია ლუკას სახარებაში (2, 22-32).

„**ორმოცი დღე გავიდა შობის ბრწყინვალე დიდღესასწაულიდან. დღესაც ზეიმობს ეკლესია და აღნიშნავს იმ დღეს, როცა მარიამმა და იოსებმა ტაძრად წარადგინეს იესო. ამ წესით უფალი დაემორჩილა ძველი აღთქმის წეს-ჩვეულებებს, მაგრამ სინამდვილეში იგი მოდიოდა, რათა შეხვედროდა თავის ხალხს, რომელიც რწმენით მოელოდა მას. სული წმიდის შთაგონებით მოვიდნენ ტაძარში წმიდა უხუცესნი: სიმეონი და ანა; იმავე სულით განათებულებმა შეიცივნეს უფალი და სიხარულით აღიარეს იგი**“ (რომაული კონდაკიდან).

ეს დღესასწაული VI საუკუნეში დასავლეთში სხვადასხვაგვარად განვითარდა: რომში მას ჰქონდა უფრო მონანიების ხასიათი, ხოლო გალიაში - სანთლების საზეიმო კურთხევისა და პროცესიის.

უფლის ტაძრად წარდგენა ასრულებს საშობაო დღესასწაულებს, ასევე, ღვთისმშობლის მიძღვნილია და სიმონის წინასწარმეტყველებით (ლუკა 2, 33-35) გზას პასექისაკენ ხსნის. უფლის ტაძრად წარდგენის დღესასწაულზე ვიხსენებთ წმიდა ნათლობას. სწორედ ამასთან დაკავშირებით, ჩვენთან

გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, ნათლიამ თავის ნათლულს „მირქმის სანთელი“ უნდა აჩუქოს. ასევე, ოჯახში მცხოვრები ყველა წევრის სახელზე უნდა დაინთოს თითო სანთელი. კათოლიკე ეკლესიის ტრადიციის მიხედვით, სანთლები იკურთხება წირვის დროს. სანთელი ქრისტეს სახარების ჭეშმარიტი ნათლით სამყაროს გაბრწყინებისა და განწმედის ნიშანია. სანთლის კურთხევისას აღევლინება უფლისადმი ლოცვა, რომელიც გვახსენებს, რომ როგორც ანთებული სანთლის შუქი ფანტავს ღამის სიბნელეს, ასევე ჩვენც, სულიწმიდის შუქით განათებულები, ცოდვის სიბნელეს უნდა განვერიდოთ. მორწმუნეებს სახლებში მიაქვთ ნაკურთხი სანთლები და მისი დანთება მთელი წლის განმავლობაშია შესაძლებელი; განსაკუთრებით კი მაშინ ანთებენ და ლოცულობენ, როდესაც შინ გაჭირვება ან ავადმყოფობაა.

2 თებერვალს ასევე აღინიშნება ბერ-მონაზონთა დღე. ამ დღეს ბერ-მონაზვნები ანახლებენ დადებულ ფიცს.

„**ჩვენც სული წმიდის მიერ გავემართოთ ქრისტესთან შესახვედრად ღვთის სახლისაკენ, სადაც ვპოვებთ და შევიცნობთ მას პურის გატეხაში, ვიქნებით მოლოდინში, რომ იგი მოვა და გაცხადდება თავის დიდებაში**“ (ლოცვა რომაული კონდაკიდან).

Catholic. ge



„ბეძებო, გვანსოვხართ და გვანაყებო“ – წერილი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეიდან

2023 წლის 11 თებერვალს არლის სამრევლოს წევრებმა, ვიკარ მამა ბექა ჩილინგარაშვილთან და ვალეს სამრევლოს წინამძღვარ მამა მიხეილ სურმაჯასთან ერთად, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე მონინახულეს.

...ბავშვობაში ჩემს ოჯახში ხშირად მესმოდა ამბავი ჩემი არცთუ შორეული წინაპრისა, რომელიც სტამბოლში სასწავლებლად გააგზავნეს, უკან კი ვერ დაბრუნდა. ეს კაცი ჩემი დიდი პაპის ძმა იყო - სიმონ ფეიქრიშვილი. ამბავი, რომელსაც ოჯახში ჰყვებიან, ვფიქრობ, ბევრი დაუზუსტებელი ფაქტებითაა სავსე, თუმცა ეს მის საბოლოო სახეს არ ცვლის.

მოკლედ, სიმონი ექვსი და-ძმიდან ყველაზე უმცროსი იყო. მამამისს უნდოდა ნასწავლი გამოსულიყო, ამიტომ სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა სავანეში გააგზავნა. მაშინ 12 წლის იყო. სავანეში სწავლობდა, თუმცა სტამბოლიდან საფრანგეთის გზას დაადგა. ერთი ვერსიით, ის საფრანგეთში სხვა მოსწავლეებთან ან სემინარიელებთან ერთად წავიდა, მეორე ვერსიით კი, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობას (ნოე ჟორდანიას მეთაურობით) სტამბოლიდან საფრანგეთში გაჰყვანა... შესაძლოა, იყოს სხვა ვერსიებიც, რადგან იმდროინდელი ამბები ხომ ხშირად იყო დაუზუსტებელი, ან ვინმეს წარმოსახვებით გაჯერებული... როგორც უნდა იყოს, სიმონი მღვდელი არ გამხდარა, წლების შემდეგ კი საქართველოში დაბრუნების სურვილმა სძლია. ძმებს სთხოვა, ქვეყანაში შემოსვლისთვის ბოლშევიკური მთავრობისგან მისთვის საშვი აეღოთ. ამ საქმის მოსაგვარებლად ჩემი დიდი პაპა, სიმონის ძმა, თომა წავიდა... ჰყვებიან, რომ მაშინდელმა მთავრობამ თომას საშვი არ მისცა: „შენი ძმა 12 წლის იყო, სტამბოლში რომ წავიდა, ახლა დიდი კაცი იქნება, შენ მას სახეზე ვერ იცნობ და ჩვენ რა გარანტია გვაქვს, რომ ქვეყანაში მის ნაცვლად ნოე ჟორდანიას არ შემოვავო? ახლა წადი, მაგ საქმეს თავი დაანებე და შენს ცხრა შვილს მიხედო“... ბოლშევიკურ „უფროსობასთან“ თომა ვერაფერს გახდა. სიმონი კი, ოდესმე საქართველოში დაბრუნების იმედით, საფრანგეთში დარჩა... ალბათ ამ ამბავმა განაპირობა ის, რომ ბევრი წლის შემდეგ მომინდა უფრო მეტი მცოდნოდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სასწავლებელზე.

აღმოჩნდა, რომ მას შემდეგ, რაც აბატმა პეტრე ხარისჭირაშვილმა დიდი შრომისა და მონდომების ფასად სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა სავანე გამართა, ჩემი და მეზობელი სოფლების თითქმის ყველა ოჯახიდან ერთ შვილს მაინც აგზავნიდნენ იქ სასწავლებლად... ვარდიძე, ტატალაშვილი, ბათმანაშვილი, ადგულაძე, ჩილინგარაშვილი და კიდევ ბევრი — ჩემი სოფლის

კათოლიკე მღვდლები არიან და ჩვენთვის დღემდე ეს ფაქტი ძალიან საამაყოა.

სწორედ ასე იქცა სტამბოლში კათოლიკე ეკლესია ჩემი, ჩემი მეგობრის, მეზობლის, ახლობლის, წინაპრების მყუდრო სავანედ. მიდიოდნენ, სწავლობდნენ, მღვდლები ხდებოდნენ, მერე კი მალულად, მაგრამ მაინც ეხმარებოდნენ საქართველოში დარჩენილებს... ეს დახმარება ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება იყო, ეს დახმარება კათოლიკე ეკლესიის ფეხზე დგომის სურვილი და სიბნელიდან სინათლის გზებით სიარული იყო... ასე გავიცანი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე და მას შემდეგ ოცნებად მქონდა მისი ნახვა. მაინტერესებდა, როგორი იყო ადგილი, სადაც ყველა დროის ყველაზე განათლებული, პატრიოტი, მორწმუნე, შრომისმოყვარე და სამშობლოს სიყვარულისთვის დევნილი ადამიანები იზრდებოდნენ; როგორი იყო ადგილი, სადაც ადამიანები მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდნენ, წერდნენ, კითხულობდნენ, იკვლევდნენ, ბეჭდავდნენ და თავიანთ ქვეყანას იცავდნენ; როგორი იყო ადგილი, სადაც კათოლიკე მღვდლები მუსლიმ თანამემამულეებს ეპატიჟებოდნენ საკუთარ სასწავლებელში, მათთვის საღამოებს მართავდნენ და ტოლერანტობის ყველაზე დიდ მაგალითს აჩვენებდნენ.

... როგორც კი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის ნახვის შესაძლებლობა გამოჩნდა, მივხვდი, რომ უბრალოდ არ შემეძლო უარის თქმა. რამდენიმეწინიანი მზადების შემდეგ ათ ადამიანთან ერთად სტამბოლში წავიდი... მე თავში სულ სიმონის ამბავი მიტრიალებდა, ჩემს მეგობრებს - თავიანთი წინაპრებისა... მიუხედავად ამისა, მაინც ზუსტად ვიცოდი, რომ მათ შესახებ ამ ვიზიტით ვერაფერს გავიგებდით. იმითაც კმაყოფილები ვიყავით, რომ წასვლას ვაპირებდით იმ ადგილზე, სადაც ჩვენს წარმოდგენებში შავ ანაფორაში ჩაცმული პირველი მოძღვარი პეტრე ხარისჭირაშვილი დააბიჯებდა, სადაც შალვა ვარდიძე, მიხეილ თამარაშვილი, ივანე გვარამაძე, პიო ბალიძე, შიო ბათმანაშვილი და ბევრი, ბევრი მოძღვარი აღავლენდა წირვას, ცხოვრობდა, მუშაობდა და ნამდვილ საგანძურს ქმნიდა, არა მხოლოდ კათოლიკეების, არამედ მთელი ჩემი ქვეყნისთვის...

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში არსებული ტაძარი ლურდის ღვთისმშობლის სახელობისაა. 11 თებერვალს კი მისი დღესასწაულია. ჩვენი მიზანი სწორედ ამ ტაძარში ჩვენი წინაპრებისთვის ლოცვა და დღესასწაულის საკადრისად აღნიშვნა იყო. ეზოს ნაცრისფერი ჭიშკარი გავაღეთ და კიბის რამდენიმე საფეხური ჩავიარეთ... მგონია, რომ ყველას ერთდროულად დაგვიარა ტანში ჟრუანტელმა... სასიამოვნოა, საამაყო

ომაც და სევდიანმაც... მწვანე ეზოს ნაწილი გავიარეთ და ტაძრის კარს მივადექით. მინდოდა თვალები დამეხუჭა და შავანაფორიანები დამენახა, ან რომელიმე მათგანის აჩქარებული ნაბიჯის ხმა გამეგო... მიუხედავად წლებისა, თითქოს მაინც იყო შემორჩენილი რაღაც, რაც მათ იქ არსებობას მაგრძნობინებდა... ყავისფერი ხის კარები, საკურთხეველთან ნაცრისფერი მოაჯირი, მოჩუქურთმებული ზარი და, რა თქმა უნდა, ლურდის ღვთისმშობელი, რომელიც ახლაც ისევე მიყურებდა კლდოვანი გამოქვაბულიდან, როგორც 1900-იანი წლების ფოტოებში მქონდა ნანახი. დიდხანს ვიარეთ ტაძარში... რამდენჯერმე გამოვალე უფუნქციოდ დარჩენილი ვინრო სააღმსარებლოს მუქი ყავისფერი კარი; თვალი შევაფლე 1892 წელს შეკერილ დროშას ღვთისმშობლის გამოსახულებით; მეორე სართულიდან გადმოვხედე ტაძარს და რაღაც მეუცნაურა - საკურთხეველთან ჩენსტოხოვას ღვთისმშობლის ხატი... არადა ძველ ფოტოებში აქ წმინდა ნინოს, ქართველთა განმანათლებლის ხატი მახსოვდა, ქართული წარწერით: „წმინდაო ნინო, ივერიის მოციქულო, ევედრე ჩვენთვის!“ ... ცოტა გული დამწყდა, ამ საგანეში ადამიანები წლების მანძილზე ცდილობდნენ ეროვნული სული, ქართული ენა არ დაეკარგათ, არც თავად და არც სტამბოლში მცხოვრებ ქართველ მუსლიმებს...



პირველი ემოციების შემდეგ „სავარდი“ დავიწყეთ. აი ისე, როგორც ჩვენი ბაბოები ლოცულობდნენ საქართველოში. ლურდის ღვთისმშობლის წინ, ბევრი თხოვნითა და ბევრი „გიხაროდენით“...

შემდეგ კი ამ ტაძრის მოძღვრების ნამდვილმა შთამომავალმა, ქართველმა კათოლიკე მღვდელმა, სადღესასწაულო წირვა დაიწყო. ქადაგებისას პეტრე ხარისჭირამვილზე ილაპარაკა, მომეჩვენა, რომ იმდენად ბედნიერი იყო, ცრემლებამდე შეეძლო მისი ამბების მოყოლა... წირვაზე ზაზაძეების ოჯახის წევრები შემოგვიერთდნენ: სიმონ ზაზაძის მეუღლე და შვილი, ნატალია ზაზაძე, რომლებმაც ლიტურგიის შემდეგ სავანის ბიბლიოთეკა გაგვიღეს და ნახვის უფლება მოგვცეს...

უამრავი წიგნი, ბევრ ენაზე და სხვადასხვა ჟანრის... სასწავლო, მხატვრული, სამეცნიერო, სამართლებრივი... არ ვიცოდით რა უნდა გვენახა, რას დავკვირებოდით... და უფრო მეტად მაშინ დავიბენით, როცა საცავში შესვლის უფლებაც მოგვცეს და ის მასალა გვანახეს, ჯერ კიდევ ყუთებიდან რომ ელოდება დღის სინათლეს... ამ ამბავმა ისე გაგვახარა, თაროებს შორის გაფართოებული თვალებით დავდიოდით...

- აქ სურათებია!
- წერილები ვნახე!
- აქ ხელნაწერებია!

ვათვალეობდით ჩვენთვის ძვირფას მასალებს და მინდოდა, ყველაფერი ერთდროულად დამემახსოვრებინა. მინდოდა, ყველა ფურცელი ამელო და წამეკითხა, მინდოდა, ყველა ყუთი გამეხსნა და იქამდე მექექა, სანამ ყველაფერს თავში არ შევიწინახავდი, მაგრამ შეუძლებელი იყო... სიამოვნებით წამოვიდოდი მოხალისედ, თუნდაც დასალაგებლად! — ვთქვი მთელი გულწრფელობით... მე დღესვე დავრჩებოდი, ოღონდ ნება დამრთონ, — მომესმა გვერდიდან ხმა.

...და მართლაც, თუ საჭირო ვიქნებოდით, აქ ჩვენ ყველა ფურცლის ნაგლეჯს გავუფრთხილებოდით, იმიტომ, რომ უმცირესი დეტალიც კი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო... თუმცა მან, ვინც აქ მუშაობდა, აშკარად იცოდა თავისი საქმე და ალბათ არანაკლებ და უფრო პროფესიონალურად უფრთხილებოდა ყველა დეტალს.

...სავანის ყავისფრადშეღებულმა ხის კარმა კიდევ ერთხელ მიგვიღო და ამჯერად მონასტერი დაგვათვალეობინა... საუკუნეზე მეტია, ამ მონასტერში არავის უცხოვრია... დრომ ადამიანები წაგვართვა, თუმცა მონასტრის ოთახებში ხის თაროებს ჯერ კიდევ აქვთ შემორჩენილი ამ ადამიანების ხელნაწერები... ვინ იცის, რომელმა მათგანმა დაწერა... ვინ იცის, ვინ იწვა ამ ძველ რკინის სანოლზე, ვინ იცის, ვისი იყო ეს ძველი დივანი, ვინ რეკავდა დერეფანში ჩამოკიდებულ, უკვე ჟანგმორეულ ზარს... ნაცრისფერ, ცარიელ, ცივ დერეფანში დავაბიჯებდი და ვფიქრობდი: იქნებ გვიყურებთ ზეციდან? ნეტავ, თქვენ რას ფიქრობთ ახლა? როგორი შთამომავლები ვართ ჩვენ, როგორი კათოლიკეები? ჰო, ალბათ ბევრად ნაკლები ვიცი, ბევრად ნაკლებს ვშრომობთ, არ ვიკვლევთ, განათლებითაც ვერ დავიკვებებით, გამბედაობაც აღარ შეგვრჩა, მარტო თქვენს „გმირობებზე“ ვსაუბრობთ, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ გეძებთ, გვეამაყებით და მჯერა, რომ გვემახსოვრებით, იქამდე, სანამ ერთი ქართველი კათოლიკე მაინც იარსებებს...

ბიბლიის კვირეული ნეროვანში

კათოლიკე ეკლესიამ საქართველოში და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა ჩაატარა ბიბლიის კვირეული, რომელიც გაიმართა ნეროვანში, 2023 წლის 29 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით. შეხვედრების თემა: **ადამიანის უდიდესი ღირსება**. შეიკრიბა სხვადასხვა კონფესიისა და ასაკის ჩვიდმეტი მონაწილე, ხოლო უმრავლესობა საბაუნის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტი იყო. მოხსენებები წარმოადგინეს საბაუნის ლექტორებმა, სასულიერო პირებმა, მონვეულმა სპეციალისტებმა, სტუდენტებმა:

„რა არის კაცი, რომ იხსენიებ?“ - მამა ზურაბ კაკაჩიშვილი; „ადამიანი - ღვთის ხატად შექმნილი“ - საბაუნის ლექტორი ალექსანდრა მარგველაშვილი; „ადამიანის ღირსება ქმნილების წინაშე: მსახურება და ქმნილებათა აღზრდა“ - უნივერსიტეტის რექტორი მამა აკაკი ჭელიძე; „აჰა კაცი“: ყველაზე სუსტი ადამიანის ღირსება“ - სტუდენტები გიორგი გობრონიძე და ვასილ დოლონაძე; „ჩვენი ცხოვრება, როგორც ღვთის შვილთა ცხოვრება“ - ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო და ავსტრიის უნივერსიტეტის მაგისტრანტი სოფიო გოზალიშვილი (ვიდეო ჩანაწერი); „მამაკაცი და ქალი - მე შევქმენი ისინი: სექსუალობა, როგორც ღირსება, რომელიც განასხვავებს, პატივს სცემს, აერთიანებს და სიცოცხლეს აღაყვავებს“ - საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე; „ყოველკვირეული დასვენების მცნება, თავისუფლება და ღირსება“ - სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მთავარი ექსპერტი ბექა მინდიაშვილი; საბაუნის ლექტორმა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ გამოგვიგზავნა ვიდეოლექცია თემაზე - „ეკლესია ადამიანური ღირსების წინაშე: დეკლარაციები და დოკუმენტები“.



პირველი საღამო გაცნობითი ხასიათის იყო: თითოეულმა მონაწილემ გვიამბო საკუთარი თავის შესახებ, ხოლო მამა ზურაბ კაკაჩიშვილმა გაგვაცნო სამუშაო პროგრამა და დღის განრიგი. ყოველ დღეს წარმოდგენილი იყო ორი მოხსენება, შემდეგ მიმდინარეობდა ჯგუფებში თემატური მუშაობა (სულ ოთხი ჯგუფი), შემდგომი შეკრების დროს კი ჯგუფის ერთი წარმომადგენელი გვაცნობდა ერთობლივად შემუშავებულ ნააზრევს. ყოველდღიურად ტარდებოდა ე.წ. „დუმილის საათი“ - ერთგვარი მედიტაცია მოცემულ თემაზე, ხოლო საღამოს, შეკრებისას, თითოეული მონაწილე გვიზიარებდა თავის ნაფიქრალს. საღამოები ეთმობოდა სხვადასხვა აქტივობას: მარსელ პრუსტის კითხვარზე პასუხების გაცემა, პერგოლეზის „stabat mater“-ის მოსმენა და ემოციური გამოძახილის გადატანა ხატვაში, ჩვენება დანიელი რეჟისორის კარლ დრაერის ფილმისა „სიტყვა“. პირველი დღის „დუმილი საათის“ თემა იყო: „რა არის, თქვენი აზრით, ადამიანის ყველაზე დიდი ღირსება?“ იგივე თემა წარმოადგინეს ბოლო დღესაც და ამას დაემატა კიდევ ერთი თემა: „მე და სხვა“ - ამჟამად მონაწილეებმა წერილობით გამოხატეს თავიანთი ნააზრევი და საღამოს შეხვედრის დროს თითოეულმა წაიკითხა თავისი ესე. „ჩემი აზრით, ყველაზე დიდი ღირსება, რაც კი შეიძლება ადამიანს გააჩნდეს, არის სიყვარული“ (მარიამ გვენეტაძე, სტუდენტი); „მე“ ღვთისგან ბოძებული საჩუქარია, რომელიც „სხვა“-სთან ურთიერთობაში პოულობს „მე“-ებს. გიყვარდეს „მე“ ნიშნავს გიყვარდეს სხვებიც“ (ნინო გორაძე, სტუდენტი); „ვფიქრობ, ღირსება, პირველ რიგში, მოიცავს პატივისცემასა და სიყვარულს... ხოლო სიყვარული - უზენაეს ღვთიურ ნიჭს, მადლსა და გამოვლინებას“ (ლალა ბაბაიანი, სტუდენტი); „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ღმერთიც არის სრული სიყვარული და გულმონყალება. სწორედ სიყვარული გახლავთ ადამიანის უდიდესი ღირსება“ (გიორგი გობრონიძე, მაგისტრანტი). სწორედ ეს იყო მთავარი აზრი, რომელმაც გაიჟღერა ყველა მონაწილის ესეში. ამის შემდეგ კი სტუდენტებმა ჩაატარეს არაჩვეულებრივი კონცერტი, გიტარაზე დაკვრით და სიმღერით. დილით, გამგზავრების წინ, მოხდა ჩატარებულ მეცადინეობათა შეჯამება.

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ყველა მომხსენებელს, ყველა მონაწილეს, ჩვენს მასპინძლებს ნეროვანში, სოფოს და იოსებს, განსაკუთრებით კი ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს და უნივერსიტეტის რექტორს მამა აკაკი ჭელიძეს, მამა ზურაბ კაკაჩიშვილს, თეოლოგიის სტუდენტებს, გიორგი გობრონიძეს და ვასილ ტოლონაძეს, რომლებმაც ხელი შეუწყეს ბიბლიის კვირეულის ჩატარებას.

სამოციულო ადმინისტრაცია - 30



ფრაგმენტები უახლესი წარსულიდან

გასული 2022 წელი, მიმდინარე 2023 წელი და მომავალი 2024 წელი განსაკუთრებით გამორჩეულია როგორც საქართველოს, ასევე მთლიანად სამხრეთ კავკასიის კათოლიკეებისათვის. 2022 წელს საქართველოში კათოლიკეებმა, წმინდა საყდართან ერთად, საზეიმოდ აღვნიშნეთ საქართველოსა და ქალაქ სახელმწიფო ვატიკანთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა და სამხრეთ კავკასიაში წმინდა საყდრის სადესპანოს დაფუძნების 30 წლისთავი. წმინდა საყდარი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ერთ-ერთმა პირველმა გახსნა თავისი დიპლომატიური მისია (სადესპანო) დამოუკიდებელ საქართველოში.

მიმდინარე 2023 წელს კი სრულდება საქართველოს ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის (ლათინური წესი) სამოციულო ადმინისტრაციის დაფუძნების 30 წლისთავი. ფაქტობრივად, სამოცი-

ულო ადმინისტრაციის შექმნით, ორსაუკუნოვანი იძულებითი წყვეტის შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიისა და შემდგომ მისი მემკვიდრის - საბჭოთა იმპერიის ანტიკათოლიკური პოლიტიკის შედეგი გახლდათ, კვლავ აღდგა საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის ადგილობრივი კათოლიკე ეკლესია. ამ ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით, ყურნალი „საბა“ თავის მკითხველს სისტემატურად შესთავაზებს აქტუალურ თემატურ პუბლიკაციებს.

მომავალ 2024 წელს სრულდება კათოლიკე ეკლესიასთან არსებული საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასის“ საქართველოს ფილიალის, „საქართველოს კარიტასის“ შექმნის 30 წლისთავი. შეიძლება ზოგადად ისტორიისთვის, ან თუნდაც კათოლიკე ეკლესიისათვის, სამი ათწლეული ძალზე მცირე დროითი მონაკვეთია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდია.

ქართველებმა საბჭოთა იმპერიიდან დამოუკიდებლობა 1991 წელს გამოავაცხადეთ და 1992 წლიდან საერთაშორისო აღიარება მოვიპოვეთ, ამ დროიდანვე იწყება საქართველოში კათოლიკე ეკლესიის აღორძინებაც. ასე რომ, საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოში ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის აღდგენა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ხდომილებებია. განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოში მოქმედი კათოლიკური სამრევლოებისთვის გასული საუკუნის 30-იანი წლები, როდესაც 30-მდე არსებული ლათინური წესის სამრევლოდან ოფიციალურად მოქმედი გადარჩა მხოლოდ თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარი, რომელმაც ლათინური წესის კათოლიკეებთან ერთად საბჭოთა რეჟიმის მიერ აკრძალული სომხურ-კათოლიკური და ასურულ-კათოლიკური სამრევლოებიც შეიფარა. არანაკლებ მძიმე შეიქმნა საქართველოს კათოლიკე მორწმუნეთათვის გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო. 1988-1991 წლებში ქართველ კათოლიკე მორწმუნეებს, რომლებმაც ამ პერიოდისათვის შეძლეს და ააღორძინეს სამრევლოები და ხელისუფლებისგან ისტორიულად და სამართლებრივად მათი კუთვნილი ტაძრების დაბრუნებას ითხოვდნენ, ჩამოართვეს და სხვა კონფესიას გადასცეს ხუთი ისტორიულად და არქიტექტურულად გამორჩეული სატაძრო ნაგებობა. მათ შორის, ერთი სოფელ ივლიტის ტაძარი, რომელიც უკვე ოფიციალურად იყო რეგისტრირებული როგორც ივლიტის რომის კათოლიკური სამრევლოს კუთვნილება. ეს პრობლემები არ იქნებოდა, იმ პერიოდისათვის ოფიციალურად რომ ეარსება ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრაციას.

ამიტომაც იმართლებდნენ თავს საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები: „ვის გადავცეთ სატაძრო ნაგებობები, არ არიან კათოლიკე მღვდლები, არ არის კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური სტრუქტურა“. ასე რომ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი მეტად მძიმე აღმოჩნდა საქართველოს კათოლიკე თემისათვის, მაგრამ ამ თითქოსდა უიმედობაში ნათელ სხივად გამოჩნდა წმინდა საყდრის სადესპანოს გახსნა და 1993 წელს სამოციქულო ადმინისტრაციის შექმნა.

პირველად სამოციქულო ად-



მინისტრატორის ფუნქცია იმჟამინდელ დესპანს, არქიეპისკოპოსს ჟან-პოლ გობელს დაეკისრა. ცხადია, შეუძლებელია, ერთმა ადამიანმა გაართვას თავი ელჩისა და ადგილობრივი ეკლესიის ადმინისტრატორის მისიას, ვინაიდან ეს ორი მაღალი თანამდებობა სრულიად განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს. მაგრამ რადგანაც 1992-93 წლებში კავკასიაში არ იყო ადამიანი, ვინც შეძლებდა წმინდა საყდრის წარმომადგენლობასაც და ადგილობრივი ეკლესიის მართვასაც, არქიეპისკოპოსს ჟან-პოლ გო-

ბელს მოუწია ამ რთული მისიის შესრულება.

სამოციქულო ადმინისტრაციის დაფუძნებას წინ საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი უძღვოდა. საქართველოში სამოციქულო ადმინისტრაციის დაფუძნება პირდაპირ კავშირშია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან. 1990 წელს, პირველი მრავალპარტიული არჩევნების საფუძველზე, ეროვნული ძალები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, ხოლო 1991 წლის აპრილში საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამავე წელს საქართველოს ესტუმრა წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანი, კარდინალი აგოსტინო კაზაროლი. მაღალი სტუმრის ვიზიტი მოასწავებდა, რომ წმინდა საყდარი მზად იყო გაეხსნა თავისი ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოსა და სრულიად სამხრეთ კავკასიაში. 1991 წლის დეკემბერში დაიშალა საბჭოთა კავშირი და 1992 წლის დასაწყისში გერმანიამ, შემდგომ აშშ-მა, საქართველოს მეზობელმა ქვეყნებმა აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა. წმინდა საყდარი და ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანიც იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და თბილისში გახსნა თავისი ოფიციალური წარმომადგენლობა - სადესპანო.

1993 წელს კი სამხრეთ კავკასიაში წმინდა საყდრის დესპანს, არქიეპისკოპოსს ჟან-პოლ გობელს დაეკისრა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორობა. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რატომ შეირჩა სამხრეთ კავკასიის კათოლიკეთა ცენტრად თბილისი. გარდა ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორისა, ეს მოხდა იმ რეალობის გათვალ-

ისწინებითაც, რომ თბილისში და საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დროსაც არსებობდა ლათინური წესის კათოლიკე თემი, რომლის რაოდენობა ორმოცდაათათასს აღწევდა, რაც მთავარია, თბილისში მოქმედებდა წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარი მღვდელმსახურითა და მრავალრიცხოვანი მრევლით.

რაც შეეხება ისტორიულ ფაქტორს, ლათინური წესის ეკლესია საქართველოში 1240 წლიდან ფუნქციონირებს. 1321 წელს თბილისელი ფრანცისკელი ძმა დემეტრე უკვე წმინდა საყდრის მნიშვნელოვან მისიაშია ჩართული და სამ ფრანცისკელ ბერთან ერთად განსაკუთრებული დავალებით ხან ბალიკში მონაღოლთა მთავარ ყაენთან მიემგზავრება. გზაზე ფრანცისკელი ძმები მონამებრივად აღესრულენ, მათ სახელებს დღემდე დიდ პატივს მიაგებენ იტალიასა და ინდოეთში.

საქართველოს მეფის გიორგი ბრწყინვალის თხოვნისა და შუამდგომლობის გათვალისწინებით, პაპმა იოანე XXII-მ, 1328 წლის 9 აგვისტოს საგანგებო გადაწყვეტილებით, ქალაქ სმირნიდან (დღევანდელი იზმირი) თბილისში გადმოატანინა საეპისკოპოსო კათედრა. პირველ ეპისკოპოსად დომინიკელთა ორდენის წევრი და 1318 წლიდან საქართველოში მოღვაწე იოანე ფლორენციელი (მწყემსმთავრობდა 1329-1348 წლებში) დაამტკიცეს.

1329-1507 წლებში თბილისში საეპისკოპოსო კათედრას თანმიმდევრობით სულ ცამეტი ეპისკოპოსი მართავდა. „ეს ფაქტი, რომ თითქმის 180 წლის განმავლობაში არსებობდა თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსო, ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ კათოლიკეთა მისიონერების მოღვაწეობას ამ ხნის მანძილზე უწყალოდ არ ჩაუვლია. ქართ-

ველთა შორის ბევრმა საერო თუ სასულიერო პირმა მიიღო კათოლიკობა. ქართველი მესვეურები სრულ თავისუფლებას აძლევდნენ მისიონერებს კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად. ამის შედეგი იყო ის, რომ თბილისის კათოლიკურ ეკლესიას ჰყავდა საკუთარი ეპისკოპოსები, რომლებიც ნიადაგ პაპების შეუწელებელი ყურადღების ცენტრში იყვნენ“, - აღნიშნავს თავის სამეცნიერო ნაშრომში კათოლიკე ეკლესიის მკვლევარი, პროფესორი მურმან პაპაშვილი.




ასე რომ, XIV-XVI საუკუნეებში თბილისში არსებობდა კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრისა, რომლის მწყემსმთავარი საკმაოდ ვრცელ რეგიონს უწევდა ხელმძღვანელობას, ისტორიული საფუძველია იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრატორის რეზიდენცია კვლავ თბილისში დაფუძნებულიყო. კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა ფუნქციონირებდა ცხუმშიც (დღევანდელი სოხუმი); რაც შეეხება გიორგი ბრწყინვალის როლს თბილისში კათოლიკური საეპის-

კოპოსო კათედრის დაფუძნებაში, დღევანდელი გადასახედიდან ეს ფაქტი ინდა მივიჩნით ევროკავშირში ინტეგრაციის ტოლფას მოვლენად, რაც გიორგი ბრწყინვალის მართლაც ბრწყინვალე დიპლომატიური პოლიტიკის კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითია.

თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსოს დახურვის შემდგომ ურთიერთობები წმინდა საყდართან შემცირდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. ამ ურთიერთობებს ხელს უშლიდა ოსმალეთის იმპერია და მოსკოვის სამთავრო, რომელთა ინტერესებში არ ჯდებოდა საქართველოს პირდაპირი ურთიერთობები დასავლეთ ევროპასთან. მას შემდეგ, რაც საფრანგეთის სამეფომ ოფიციალურად მეურვეობა აიღო ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ კათოლიკეებზე, რომთან მისასვლელი გზები შედარებით გაიოლდა, ხოლო მოსკოველთა ურთიერთობა კათოლიკურ სამყაროსთან კიდევ უფრო დაიძაბა.

XVI-XVII საუკუნიდან საქართველოს მონარქები ცდილობენ წმინდა საყდართან ურთიერთობების გაფართოებას. 1625 წელს თეიმურაზ I-მა რომში ელჩად წარგზავნა ნიკიფორე ირბახი (ირუბაქიძე). მისი მონაწილეობით და რწმენის გავრცელების კონგრეგაციის დახმარებით 1629 წელს გამოიცა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, ხოლო თეატინელთა ორდენის ბერები ქართლში, გურიასა და სამეგრელოში აარსებენ თავიანთ მისიებს. თეატინელთა საქმიანობა გააგრძელეს კაპუცინთა ორდენის მამებმა. სწორედ ამ ორდენის წარმომადგენელთა საქართველოში საქმიანობის წყალობით შემოგვრჩა მდიდარი ისტორიული დოკუმენტები იმჟამინდელი საქართველოს ყოფის შესახებ. მართალია, იმ ეპოქაში



სამოციქულო ადმინისტრაცია არ ფუნქციონირებდა, მაგრამ ამ ორდენების მისიები პირდაპირ ექვემდებარებოდნენ რომში არსებულ ორდენტა ხელმძღვანელობას და მათი რელაციებიც ვატიკანში იყრიდა თავს. 1802 წელს, როდესაც რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქარველოს ანექსია, იმთავითვე ბრძოლა დაიწყო ქართველთა ასიმილაციისათვის. 1811 წელს გააუქმეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და მართლმადიდებელი მრევლი რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდა. შემდგომ ეტაპზე რუსეთის მმართველობა დაუპირისპირდა კაპუცინთა მისიას საქართველოში. მისიის ხელმძღვანელობას მოსთხოვეს, რომ გაენყვიტათ პირდაპირი კავშირი რომთან და რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ ტირასპოლის ეპარქიას დაქვემდებარებოდნენ. მიზანი იყო საქართველოს კათოლიკეების წმინდა საყდართან ურთიერთობის განწყვეტა და ქართული ენის მსახურებიდან ამოღება. ამ მოთხოვნას კაპუცინები კატეგორიულად დაუპირისპირდნენ, საპასუხოდ კი 1844 წელს რუსეთის ხელისუფლებამ მათ აუკრძალა საქმიანობა და მომდევნო წელს საერთოდ გააძევა ისინი საქართველოდან. ამ პერიოდიდან საქართველოს კათოლიკურ სამრევლოთა ხელმძღვანელობას

ტირასპოლის ეპარქიიდან დანიშნული ვიზიტატორები ახორციელებენ. რუსეთის მმართველობის მხრიდან ნაქეზებით იწყება დაპირისპირება ქართველ და სომეხ კათოლიკეებს შორის. თუმცა ქართველი კათოლიკეები უქმად არ იყვნენ, მამა პეტრე ხარისჭირამვილი კონსტანტინოპოლში აარსებს ქართულ კათოლიკურ სავანეს. ქართული კათოლიკური მონასტერი რამდენიმე ათწლეული მოქმედებს საფრანგეთის ქალაქ მონტობანშიც. მამა მიქაელ თამარაშვილი კი ვატიკანის არქივებში მრავალწლიანი შრომის შედეგად მოამზადებს და გამოსცემს ფუნდამენტალურ ნაშრომს საქართველოში კათოლიკობის შესახებ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღეებიდან ქართველი კათოლიკეები იწყებენ ბრძოლას ლათინური წესის ადგილობრივი საეკლესიო ორგანიზაციის შესაქმნელად. წმინდა საყდარიც აქტიურად ჩაებმება ამ პროცესში, მაგრამ საბჭოთა ოკუპაციამ ეს პროცესი შეაჩერა. საბჭოთა რეჟიმის დროს წმინდა საყდართან ოფიციალური ურთიერთობები განწყვეტილი იყო. საბჭოთა კავშირს არც დიპლომატიური ურთიერთობები არ ჰქონდა ვატიკანთან და კათოლიკეებს ხელისუფლება დიდი უნდობლობით ეპყრობოდა. გასული საუკუნის 30-იან, 60-იან წლებ-

ში სახელმწიფოსგან სასულიერო საქმიანობის რეგისტრაცია გააჩნდა მხოლოდ ერთ კათოლიკე მღვდელმსახურს: 1966 წლამდე - ემანუელ ვარდიქს და 1966-1973 წლებში - კონსტანტინე საფარიშვილს. სავარაუდოდ, სამოციქულო ადმინისტრატორის ფუნქციასაც ეს მღვდელმსახურები ასრულებდნენ. ყოველ შემთხვევაში, გვაქვს რომის პაპის პავლე VI-ის მიერ პერსონალურად მათთვის ქართულ ენაზე გამოგზავნილი მისალოცი ბარათები. 1973 წლიდან წინამძღვრად ინიშნება მამა იან სნეჟინსკი, რომელსაც რიგის სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული და ლატვიაში გახლდათ მღვდლად ხელდასმული, ამიტომ პერსონალურად იმყოფებოდა ლატვიის სამოციქულო ადმინისტრატორის იურისდიქციაში. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ, როდესაც წმინდა საყდართან აღდგა პირდაპირი ურთიერთობები და დაინიშნა სამოციქულო ადმინისტრატორი, შესაძლებელი გახდა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში კათოლიკური ეკლესიის სრულფასოვანი ფუნქციონირება. და უკვე რამდენიმე წელიწადში ადგილობრივმა კათოლიკურმა ეკლესიამ თვალსაჩინო, კეთილი ნაყოფის მომცემ შედეგებს მიაღწია.

გაგრძელება იქნება

შუა საუკუნეების სააბატოები და ყველის ცნობილ სახეობათა წარმომავლობა

შუა საუკუნეებში ყველი ასოცირებული იყო ღარიბთა და გლეხთა საკვებთან და მიიჩნეოდა სამარხვო პროდუქტად. ამიტომ დიდი როლი ყველის გავრცელებაში ეკუთვნოდა სააბატოებს. კულინარმა ბერებმა ყველი დახვეწილ გასტრონომიულ პროდუქტად აქციეს. იტალია, ესპანეთი და შვეიცარია ცნობილი გახდნენ მყარი და ძალიან მყარი ყველით, რომელთაგან ზოგს ჭრიან სამკუთხა ფორმის პირიანი სპეციალური დანებით, რადგან ჩვეულებრივი დანით დაჭრა თითქმის შეუძლებელია.

Grana Padano DOP („გრანა პადანო“, ხარისხის ნიშანი DOP - Denominazione di Origine Protetta - სახ-

დანიტ. ერთი კილოგრამი ყველის დასამზადებლად საჭიროა 17 ლიტრი რძე.

Fontina DOP („ფონტინა“) - ნახევრად მყარი ყველი, მზადდება ძროხის რძისაგან, ინარმოება ვალე დ'აოსტაში, იტალიის ჩრდილო-დასავლეთით, ალპების ძირში მდებარე ავტონომიურ რეგიონში.



Parmigiano Reggiano DOP („პარმიჯანო რეჯანო“) - მყარი ყველი, მზადდება ძროხის რძისაგან. მისი სახელწოდება „პარმეზანი“, რომელიც ფრანგულიდანაა ნასესხები, ზოგადად ყველა მყარი ყველის აღსანიშნავად გამოიყენება. ყველის ლათინური სახელწოდება „caseus Parmensis“ ითარგმნება, როგორც „პარმის ყველი“. ხოლო ყველის იტალიური სახელი მომდინარეობს ორი გეოგრაფიული ადგილის სახელიდან: ქალაქი პარმა და

ევრად მყარი ყველი, მზადდება ძროხის რძისაგან, ინარმოება ვალე დ'აოსტაში, იტალიის ჩრდილო-დასავლეთით, ალპების ძირში მდებარე ავტონომიურ რეგიონში. ამ ყველის შესახებ პირველი ცნობა გვხვდება 1717 წელს, გრან-სან ბერნარდოს ავგუსტინელთა სააბატოს დოკუმენტებში. სააბატო აღმართეს წმიდა ბერნარდ მენტონელის (X-XI ს) პატივსაცემად, რომლის მთავარ საქმეს წარმოადგენდა მოგზაურთა თავშესაფრის შექმნა ალპებში, უღელტეხილზე, რომლის მეშვეობითაც გადიოდა გზა იტალიიდან ცენტრალურ ევროპაში. ამ უღელტეხილზე ავგუსტინელთა მიერ აშენებული ეკლესია ევროპის ყველაზე მაღალმთიან ადგილზე აგებული ნაგებობაა. ავგუსტინელებმა აქ გამოიყვანეს სპეციალური ჯიშის ძალი, რომელსაც წმიდა ბერნარდის პატივსაცემად სახელად ეწოდა სენბერნარი. ეს ძაღლები განვრთნილი არიან იმისათვის, რომ მთებში გადაარჩინონ მოგზაურები, რომელთაც თოვლის ქვეშაც კი პოულობენ.

ელისა და წარმომავლობის დაცვა) - ერთ-ერთი ყველაზე მყარი ყველი, დამზადებულია ძროხის რძისაგან. ეს ყველი XII საუკუნეში შექმნეს კიარვალეში ცისტერციანული სააბატოს ბერებმა; სააბატო დაარსდა 1135 წელს ბერნარ კლერვოელის მიერ, მილანის მახლობლად, როგორც საფრანგეთის კლერვოს სააბატოს შვილობილი მონასტერი (რაც ასახულია იტალიური სააბატოს სახელში). ბერები თავდაპირველად თავიანთ ყველს ლათინურად უწოდებდნენ „caseus vetus“ („დაძველებული ყველი“). ხალხში კი ყველი, თავისი მარცვლოვანი სტრუქტურის გამო, ცნობილი გახდა სახელით „grana“ (ლათ. Granum - მარცვალი). შემდეგ მის სახელწოდებას დაემატა ჩრდილოეთ იტალიაში, მდინარე პოს აუზში გაშლილი პადანის დაბლობის სახელი, სადაც მდებარეობს მილანი და კიარვალეს სააბატო. ყველის კონსისტენცია იმდენად მყარი და ფხვიერია, რომ მას კი არ ჭრიან, არამედ ფშვნიან სპეციალური



პროვინცია რეჯო ემილია, ემილია-რომანიას რეგიონში. Parmigiano Reggiano უკვე ინარმოებოდა XII საუკუნეში, წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ბენედიქტელთა სააბატოში, პარმაში; სააბატოში ასევე იყო აფთიაქი, რომლის შესახებ პირველი ინფორმაცია 1201 წლით თარიღდება. ასევე, ვალსერინეში, წმიდა მარტინის ცისტერციანულ სააბატოში და ფონტევიკოში, წმიდა ბერნარდოს სააბატოში.



იან სიუი: როგორ მიიყვანა ფერწერამ ტაძარში

იან სიუი (Yan Xu), მხატვარი ქალი ჩინეთის ქალაქ უხანიდან, 2003 წელს გაათავისუფლეს სამსახურიდან; ამ ამბით შეწუხებული იანი ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა. „მაშინ ყოველთვის თან დამქონდა მოლბერტი და ფანქარი, მთელი დღე ქალაქის ცნობილი შენობების ჩანახატებს ვაკეთებდი. ერთ მშვენიერ დღეს კი ქალაქის ცენტრში წმიდა იოსების ტაძარს წავაწყდი,“ - იხსენებს იგი.

იანი აღაფრთოვანა ამ დიდებულმა, მეტად მშვენიერმა ნაგებობამ. „რამდენიმე ესკიზი გავაკეთე, მეორე დღეს ისევ დავბრუნდი, რათა გამეგრძელებინა ხატვა, მესამე დღეს ტაძრიდან კათოლიკე მღვდელი გამოვიდა, მომიახლოვდა და რწმენის შესახებ დამიწყო საუბარი. წლების განმავლობაში საერთოდ არ დავფიქრებულვარ რელიგიაზე, ახლა კი სურვილი გამიჩნდა, რაც შეიძლება მეტი გამეგო მის შესახებ“.

იანმა ეკლესიაში სიარული დაიწყო. იგი ყოველ კვირადღეს ესწრებოდა წმიდა წირვას და ევედრებოდა ღმერთს, რომ მისთვის გზა ეჩვენებინა. შვიდი წლის შემდეგ, 2011 წელს, იანი მოინათლა წმიდა იოსების ტაძარში სააღდგომო ლიტურგიის დროს. იგი აღნიშნავს, რომ „ჩინეთში სულ უფრო მეტი ადამიანი ეძებს ჭეშმარიტი ცხოვრების გზას, რომელიც აღსავსეა ღვთის წყალობითა და დიდებით. მადლობა ღმერთს ამისთვის“.

„ჩინეთი რომისგან შორს მდებარეობს, მაგრამ აქ კათოლიკეები ყოველთვის ლოცულობენ, რომ რომის პაპი ჩვენს მიწას ეწვიოს მომავალში“, - ამბობს იგი. თუმცა ჩინეთში კათოლიკეები უმცირესობას წარმოადგენენ. უხანის 10 მილიონი მოსახლიდან მხოლოდ ოცდაათი ათასი კათოლიკეა. „ჩინეთი სოციალისტური ქვეყანაა, ამიტომ მისი მოსახლეობის უმეტესობას არ გააჩნია რელიგიური მრწამსი“. თუმცა ადგილობრივი ქრისტიანები ცოცხალი რწმენით გამოირჩევიან. „მე მიყვარს ჩემი ეკლესია,



აქ მრავალი შესანიშნავი ახალგაზრდა კათოლიკეა, - ამბობს მხატვარი, - ჩვენ ერთად ვმონაწილეობთ წირვაში, ერთად ვლოცულობთ სავარდს. კათოლიკე ეკლესია უკეთეს ადამიანად მაქცევს“.

სირთულეები, რომელთაც მორწმუნენი აწყდებიან ჩინეთში, იმაში მდგომარეობს, რომ არ არის დაწესებული გამოსასვლელი დღეები კათოლიკური რელიგიური დღესასწაულების დროს. „ეს ეხება განსაკუთრებით შობას, წითელ პარასკევს, აღდგომას, ღვთისმშობლის ზეცად აღყვანებას... თუ გსურთ მონაწილეობა მიიღოთ დღესასწაულებში, უნდა მოითხოვოთ სამუშაოდან დასვენების დღე“, - ამბობს მხატვარი.

იანი ყოველ კვირას მონაწილეობს წმიდა წირვაში, მსახურებს როგორც მკითხველი და ასევე არის სამრევლო გუნდის წევრი. იგი აღნიშნავს, რომ ჩინეთში კათოლიკეებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ სადღესასწაულო წირვა აღავლინონ, მაგრამ „ეს მხოლოდ ეკლესიის შენობის საზღვრებშია დაშვებული და არა ტაძრის გარეთ“.

„წმიდა ყოველდღე ვმონაწილეობდე წმიდა წირვაში, მაგრამ არ შემიძლია, რადგან ღვთისმსახურება ჩემს სამუშაო დროს ემთხვევა“. იან სიუი კათოლიკური ქსელის EWTN საშუალებით თვალს ადევნებს კათოლიკე ეკლესიის ცხოვრების მოვლენებს. „ყოველდღე ვუყურებ წმიდა წირვის ტრანსლაციას ინტერნეტის საშუალებით, ასევე შეგვიძლია გავეცნოთ სიახლეებს რომის პაპისა და წმიდა საყდრის შესახებ“, - აღნიშნავს იგი.

კათოლიკე ეკლესიასა და ჩინეთის მთავრობას შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია, რადგან მთავრობამ შექმნა პარალელური კათოლიკური პატრიოტული ასოციაცია, რომელიც ეპისკოპოსებს ვატიკანის თანხმობის გარეშე ნიშნავს. კათოლიკე სამღვდელოების ზოგიერთი წევრი, მათ შორის ეპისკოპოსები, დააპატიმრეს წმიდა საყდრისადმი

ერთგულების გამო. ამ პრობლემების გამოძახილი იგრძნობა უხანშიც. იანი ამბობს, რომ სშირად აწყდება „ადამიანებს, რომელთაც წინასწარშექმნილი ცუდი აზრი აქვთ“.

2007 წელს იან სიუიმ განაგრძო სწავლა, რომლის დასასრულს მიიღო მაგისტრის ხარისხი ხელოვნების ისტორიაში. მისი თქმით, ეს იყო „კიდევ ერთი გზა კათოლიკურ სარწმუნოებასთან დასაკავშირებლად“.

იანი მონაწილეობდა კონკურსში „Veritas et Amor“, სადაც წარმოადგინა ძველ ხელნაწერთა სტილში შესრულებული თომა აკვინელის პორტრეტი, რისთვისაც მან თომა აკვინელის საზოგადოების ჯილდო მიიღო. თომა აკვინელი გამოჩენილი იტალიელი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და კათოლიკე ეკლესიის წმიდანია, რომელიც „მაიძულებს ვიფიქრო ყოფიერების საზრისზე და ვეცადო აღმოვაჩინო ღვთის ნება ჩემს ცხოვრებაში. სშირად ღმერთის ჩანაფიქრი გაუგებარი ჩანს, მაგრამ, საკმარისია, ვილოცოთ და ყოველივე ცხადი ხდება, - ამბობს იანი, - მე დიდ ნუგემს ვპოულობ ხელოვნებაში; ხატვა ჩემთვის ლოცვის განსაკუთრებული საშუალებაა“.



„ოჯახური სიყვარული: მონოდება და სინმინდის გზა“

2022 წლის 22-26 ივნისს რომში ჩატარდა ოჯახების მე-10 მსოფლიო შეხვედრა. ასეთი მასშტაბით ოჯახების შეკრების ტრადიცია 1994 წლიდან დამკვიდრდა წმიდა იოანე პავლე მეორის ნებით. ამ დღესთან დაკავშირებით, ოჯახებისთვის დაიბეჭდა კატეხიზაციების კრებული „ოჯახური სიყვარული: მონოდება და სინმინდის გზა“.

მართალია, წელს საქართველოდან არ გვყავდა ამ ღონისძიებაში მონაწილე ოჯახი, მაგრამ ორგანიზატორებმა იზრუნეს და მოამზადეს დამხმარე სახელმძღვანელო მათთვის, ვინც ადგილზე, საკრებულოებში, გაუწევს ორგანიზებას ოჯახებთან შეხვედრებს. ბროშურაში შეტანილია შვიდი კატეხიზაცია, რომელიც ეხება ოჯახის სხვადასხვა

ასპექტს; ეს ერთგვარი სულიერი მოგზაურობაა, თავისებური გზა სინმინდისაკენ. ის საუბრობს სხვადასხვა მონოდებაზე (vocare), რომლისკენაც მოგვიხმობს უფალი; მათგან ერთ-ერთი და მნიშვნელოვანია ოჯახი, როგორც ურთიერთობის ფორმა ღმერთთან და მისი ჩანაფიქრის განხორციელება. კატეხიზაციაში ნათქვამია, რომ წმიდანობისთვის არაა აუცილებელი ბერმონაზვნობა, ის გამოვლინდება ყოველდღიურ ქმედებაში, რასაც ვაკეთებთ და როგორც ვაკეთებთ. „ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ან უარვყოთ მოხმობა, ურთიერთობის დასაწყებად“; ქორწინების საიდუმლოს მეშვეობით მეუღლეები პასუხობენ სიყვარულში მონოდებას, რასაც ქრისტეს მადლი შეეწევა. იგი ითხოვს ამ მადლის ყოველდღიურ მიღებას, რათა მეუღლეებმა, თავმდაბლობითა და მორჩილებით, შეძლონ ერთმანეთის სიყვარული, იმგვარად, როგორც იესოს უყვარს.

აღნიშნულია, რომ ზოგჯერ ღვთის მონოდება არ ემთხვევა ჩვენს სურვილებს, ჩვენს აზრებს, იმას, რაც მართებულად გვეჩვენება, „რადგან ჩემი ზრახვები თქვენი ზრახვები არ არის, და თქვენი გზები ჩემი გზები არ არის“ (ესაია 55, 8). თავად ნაზარეთის წმიდა ოჯახი გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ მასში ჩვენი ოჯახის მონოდება და ვიპოვოთ სწორი მიმართულება ცხოვრების გზაზე. კატეხიზა მოგვინოდებს, არ დავივიწყოთ, რომ თავად განკაცებული ღმერთი ცხოვრობდა მოკრძალებულ და ჩვეულებრივ ოჯახურ გარემოში. სწორედ აქ სურს მას შესვლა და დამკვიდრება.

ამ და სხვა მოსაზრებებს გაეცნობიან და იმსჯელებენ მორწმუნენი ადგილობრივ საკრებულოებში ორგანიზებულ შეხვედრებზე, რომელსაც გაუძღვებიან მღვდლები ან წარმომადგენლები ორგანიზაციისა INER Georgia, სადაც ითარგმნა და დაიბეჭდა ზემოთ ხსენებული კატეხიზების კრებული (სულ 150 ცალი) და დაურიგდა კათოლიკურ სამრევლოებს.

კატეხიზაციები



„ოჯახური სიყვარული:
მონოდება და
სინმინდის გზა“

ოჯახების მსოფლიო შეხვედრა რომი, 22-26 ივნისი, 2022.

საქართველოს კარიტასის მოხალისეთა შეხვედრა



2 თებერვალს საქართველოს კარიტასის ახალი მოხალისეებისთვის გაიმართა საორიენტაციო შეხვედრა, რომელსაც მოხალისეობის განვითარების ახალი ოფიცერი, ირაკლი ხორავა გაუძღვა.

შეხვედრა საქართველოს კარიტასის დირექტორმა, ქალბატონმა ანაპიტ მხოიანმა გახსნა და მოხალისეებს ესაუბრა კარიტასის საქმიანობის მნიშვნელობაზე, მოხალისეების დიდ როლსა და მოვალეობებზე. მოზარდები, რომლებიც თავიანთი სურვილით ცდილობენ სამყარო უკეთესი გახადონ, დაეხმარონ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ, შემდგომ თავიანთი სურვილის შესაბამისად გადანაწილდებიან საქართველოს კარიტასის პროგრამებში და მთელი წლის განმავლობაში მიიღებენ მონაწილეობას ორგანიზებულ აქტივობებსა და ღონისძიებებში.


შეხვედრის დროს დაგეგმილი იყო გაცნობითი აქტივობები, რომელთა მეშვეობითაც ახალ მოხალისეებს საშუალება ჰქონდათ ერთმანეთის შესახებ მათთვის უცნობი ფაქტები გაეგოთ, ძირფესვიანად გაცნობოდნენ ინფორმაციას მოხალისეობრივ შესაძლებლობებსა და პროგრამებზე. მათ მოისმინეს კარიტასის მოკლე ისტორია, შეიტყვეს მისი საქმიანობის მნიშვნელობის, სიკეთის კეთებისა და ამაში მოხალისეთა როლის შესახებ.

მოხალისეობა დიდი შესაძლებლობაა საკუთარი თავის აღმოჩენისა და სხვების დახმარებისა, ამიტომ ჩვენს მოხალისეებს დიდი წვლილი მიუძღვით კარიტასის საქმიანობაში.



მარიამ აფრინაშვილი

მასალები საქართველოში კათოლიკე მისიონერების საგანმანათლებლო მოღვაწეობის ისტორიისთვის



მი - „მასალები საქართველოში კათოლიკე მისიონერების საგანმანათლებლო მოღვაწეობის ისტორიისთვის“ (ნაწილი პირველი, XVII საუკუნე).

XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან, მეფე თეიმურაზ I-ის ოფიციალური მონვევით, ქართლში აქტიურ საქმიანობას ეწევიან თეატინელთა (ამ ორდენის მისიები მოქმედებდა გურიასა და სამეგრელოს სამთავროებშიც), კაპუცინთა სასულიერო ორდენების წარმომადგენელი კათოლიკე მამები, რომელთა მსახურებაში მნიშვნელოვანი წილი საგანმანათლებლო საქმიანობაზე მოდიოდა. ეს ეპოქა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შავბნელ პერიოდს წარმოადგენდა; ფეოდალურ სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყანა დაუნდობელ შინაომებში იყო ჩართული, შინა აშლილობა კი, გარე აგრესიასთან შედარებით, ბევრად დამანგრეველია. ამ ვითარებაში, ცხადია, განათლებისთვის არავის ეცალა და ევროპიდან ჩამოსულმა კათოლიკე მამებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართულ კულტურაში.

XVII-XVIII საუკუნეებში, ასევე XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კათოლიკე მამებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში და ქალბატონ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მოკრძალებული ნაშრომის მიზანიც სწორედ ის არის, რომ კათოლიკე ეკლესიის მიერ წარმოგზავნილ მამათა მოღვაწეობის ფართო სპექტრში კონკრეტულად საგანმანათლებლო მისია წარმოაჩინოს. ასე რომ, უახლოეს დროში ქალბატონ ჟუჟუნა ფეიქრიშვილისგან უნდა ველოდოთ ჩვენს ქვეყანაში კათოლიკე მამების საგანმანათლებლო მოღვაწეობის კიდევ ორსაუკუნოვანი ისტორიის გაცოცხლებას.

აღნიშნული ნაშრომი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მოამზადა. სიმბოლურია, რომ ნიგნის რედაქტორია მამა გაბრიელე ბრატინი, ნევრი სტიგმელთა კონგრეგაციისა, რომელიც უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც საქართველოში თეატინელთა მიერ დაწყებულ საგანმანათლებლო მისიას აგრძელებს.

როგორც ნიგნის შესავალში ავტორი გვამცნობს, „ნაშრომი განკუთვნილია რელიგიისა და ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის“; ვფიქრობ, ნებისმიერი გემოვნების ან ასაკის მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა წარმოდგენილ ნაშრომს, რომლის ღირსებასაც, ისტორიის სურათების გაცოცხლებასთან ერთად, ავტორის გამართული ქართული წარმოდგენს.

საპატიო (ემერიტუს) პროფესორს, ქალბატონ ჟუჟუნა ფეიქრიშვილს ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის საგანგებო წარდგენა არ სჭირდება; წლებია, იგი ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის. ამ სფეროში მან ნამდვილად დასაფასებელი წვლილი შეიტანა და საკუთრი ნიშაც დაამკვიდრა.

„საბას“ რუბრიკაში „ახალი წიგნები“ ყოველწლიურად ქვეყნდება საინფორმაციო წერილები ქალბატონ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის ახალი ნაშრომების შესახებ. ჩვენს ერთგულ მკითხველს ემახსოვრება გასული წლის შემოდგომაზე „საბაში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც მოგვითხრობდა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გამართული გამორჩეული პრეზენტაციის შესახებ, სადაც ქალბატონმა ჟუჟუნამ ფართო საზოგადოებას წარუდგინა ცნობილი მეცნიერის, ვიქტორ კოკოჩაშვილის ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნი. 2022 წელს ჟუჟუნა ფეიქრიშვილმა დაასრულა საქართველოში კათოლიკობის შესახებ კიდევ ერთი ახალი ნაშრო-

სიბერე ათონელი



რისი უნარია ყველაზე იშვიათი? - გაცემის უნარი.

რისი უნარია ყველაზე უკეთესი? - პატივის უნარი.

რისი უნარია ყველაზე ძნელი? - დუმის უნარი.

რისი უნარია ყველაზე მნიშვნელოვანი? - შეკითხვის უნარი.

რისი უნარია ყველაზე საჭირო? - მოსმენის უნარი.

რომელი ჩვეულებაა ყველაზე უსიამოვნო? - პატივმოყვარეობა.

რომელი ჩვეულებაა ყველაზე საზიანო? - ყბელობა.

რომელი ადამიანია ყველაზე ძლიერი? - ვისაც ჭეშმარიტების შეცნობა ძალუძს.

რომელი ადამიანია ყველაზე უძლური? - ვისაც თავი ყველაზე ძლიერი ჰგონია.

რომელი ადამიანია ყველაზე გონიერი? - ვინც გულისთქმას მიჰყვება.

რომელი ჩვევაა ყველაზე საზიანო? - საკუთარი სხეულით ტკობა.

რომელი ადამიანია ყველაზე ღარიბი? - ვისაც ყველაზე მეტად უყვარს ფული.

რომელი ადამიანია ღმერთთან ყველაზე ახლოს? - გულკეთილი.

რით დავძლიოთ უბედურება? - სიხარულით.

რით ვძლიოთ ტანჯვას? - მოთმინებით.

რა არის ჯანსაღი სულის ნიშანი? - რწმენა.

რა არის სწეული სულის ნიშანი? - უიმედობა.

რა არის მცდარი ქმედების ნიშანი? - გაღიზიანება.

რა არის კარგი საქციელის ნიშანი? - სულიერი სიმშვიდე.

რომელი ადამიანი დაიმკვიდრებს სასუფეველს? - ის, ვისაც უყვარს მოყვასი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის უყურადღებოდ დარჩენილი კანონი

24 მარტი - მისიონერ მონამეთა დღე, ლოცვისა და მარხვის დღე

ა.ნ. 18 იანვარს ორგანიზაციამ Porte Aperte on-lus/Open Doors გამოაქვეყნა საანგარიშო მოხსენება World Watch List 2023 (Wwl), რომლის ნუსხაში მოხვდა მსოფლიოს 50 ქვეყანა, სადაც ქრისტიანები ყველაზე მეტად იღვევებიან. ანგარიში განიხილავს პერიოდს 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის სექტემბრამდე; ეს ქრისტიანული ორგანიზაცია მოქმედებს 60-ზე მეტ ქვეყანაში, ეხმარება და მხარს უჭერს ქრისტიანებს, რომლებსაც რწმენის ნიშნით ღვენიან.

2023 წლის ანგარიშის მიხედვით, სამწუხაროდ, ჩრდილოეთ კორეა მსოფლიოში ქრისტიანებისთვის ყველაზე სახიფათო ქვეყნებს შორის რეიტინგში ისევ პირველ ადგილზეა: „როდესაც ხელისუფლება ქრისტიანებს აღმოაჩენს, მათ გამოკეტავს შრომით ბანაკებში, სადაც საშინელ პირობებში ამყოფებს, ხშირად ჩრდილო კორეის ციხეებშიც კი ხვდებიან. მათ, როგორც პოლიტპატიმრებს, ამწყვედვენ ან ადგილზე კლავენ, იგივე ბედი ელით მათ ოჯახებს. ქრისტიანებს არანაირი თავისუფლება არა აქვთ; შეუძლებელია ერთად შეკრება ან შეხვედრა სალოცავად, ხოლო მან, ვისაც ამისთვის გამბედაობა ეყოფა, უნდა იმოქმედოს საიდუმლოდ. მთავრობის ახალმა კანონმა ცხადყო, რომ ქრისტიანად ყოფნა, ან უბრალოდ ბიბლიის ფლობა, მძიმე დანაშაულს წარმოადგენს და მკაცრად ისჯება“.

პირველ ხუთეულში შესულია სამი ისლამური ქვეყანა: სომალი, იემენი და ლიბია. აქ „Open Doors“-ი შემდეგს აკონკრეტებს: ქრისტიანული რწმენა გასაიდუმლოებულია და თუ აღმოაჩენენ მორწმუნეებს (განსაკუთრებით ყოფილ მუსლიმებს), მათ სიკვდილი ელით; ნიგერიაში მსოფლიოში ყველაზე მეტი ქრისტიანი იღუპება (დაფიქსირდა დაღუპულთა ყველაზე მაღალი ციფრი - 5014, რაც კი ოდესმე აღრიცხულა); ირანიც იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც ქრისტიანული ცხოვრება განსაკუთრებით მძიმეა. სუდანში, რომელსაც მოსდევს ინდოეთი, რეკორდული ციფრებია დაფიქსირებული რწმენის ნიშნით დაკავებულ ქრისტიანთა გასამართლების ფაქტებზე (1750)“.

მსოფლიოში დაახლოებით 59 ომია გაჩაღებული, მათ შორის, რუსეთ-უკრაინის ომი; ყოველწლიურად მილიონობით მსხვერპლს ითვლიან, თუ არ ჩავთვლით Covid 19-ის პანდემიას, ენერგეტიკის დეფიციტს და ახლა უკვე საშინელ მინისძვრას თურქეთსა და სირიაში. თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია

გაჩუმება ქრისტიანთა ამ ტრაგიკულ ღვენაზე... არანაკლებ ტრაგიკულია მედიის ღუმელი, გარდა ზოგიერთი გამონაკლისი ახალი ამბისა, მაგალითად, კათოლიკე მღვდლის ცოცხლად დაწვის ფაქტი ნიგერიის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის საკრისტიაში.

„დროა, რელიგიური თავისუფლება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ეს უყურადღებოდ დარჩენილი კანონი მსოფლიო დებატების ცენტრში დავაყენოთ“, - აცხადებს „Open Doors“-ის დირექტორი.

და რა ხდება საქართველოში? მართალია, აქ ღვენაზე ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ნორმალურადაა... ჯერ კიდევ შეინიშნება არცთუ დიდი ხნის წინანდელი დისკრიმინაციები და მისი შედეგები. ყოველივე ეს ჩვენგან მოითხოვს ვილოცოთ მათთვის, ვინც სიცოცხლე განირა ქრისტეს რწმენისთვის, ვინც იღვენება, განსაკუთრებით ამ დიდმარხვისას, 24 მარტს, მისიონერ მონამეთა დღეს, ლოცვისა და მარხვის დღეს, დღეს, როდესაც 1980 წელს, სანსალვადორში მოკლეს კათოლიკე ეპისკოპოსი ოსკარ რომერო.



კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში

მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმი
6th International Symposia



6-7 ივნისი | 2023
6-7 June | 2023

„კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“
„Catholic Heritage in Georgia“

22nd April - Deadline for registration
27th May - Deadline for main report
Venue: 3 K. Kutateladze St



6-7 ივნისს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი უმასპინძლებს VI საერთაშორისო სიმპოზიუმს: „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“. კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული, ინგლისური, იტალიური;
მნიშვნელოვანი თარიღები:
2023 წლის 22 აპრილი - სიმპოზიუმში მონაწილეობისათვის განაცხადის მიღების ბოლო ვადა;
2023 წლის 27 მაისი - სტატიების გადმოგზავნის ბოლო ვადა.


დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.sabauni.edu.ge
კითხვების შემთხვევაში, მოგვწერეთ; conference@sabauni.edu.ge

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!

ქალაქ ვალის ღვთისმშობლის შობის კათოლიკური სამრევლო გულისტკივილს გამოთქვამს ამავე სამრევლოს წევრისა და აქტიური ახალგაზდრის, ნიკა ჩიტაშვილისა და მისი 3 წლის შვილის, ნუციკოს ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ნიკა დაიბადა 1999 წლის 21 ივნისს პეტერბურგში, ბავშვობა და ახალგაზრდობა გაატარა ქალაქ ვალეში; აქ მას ყველა პატივის სცემდა; იგი გამოირჩეოდა გულისხმიერებით, ყოველთვის გულთან მიჰქონდა სხვების გაჭირვება. ნიკა ჩვენი სამრევლოს აქტიური წევრი იყო და შეძლებისდაგვარად გვერდში ედგა მას ყველა საჭიროებაში, ხშირად მონაწილეობდა სამრევლოს ახალგაზრდულ შეხვედრებში, იყო აქტიური და სიცოცხლით სავსე ადამიანი.

ჩვენთვის დიდი დანაკლისია მისი გარდაცვალება. დაე, უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი მას და ყველას, ვინც მასთან ერთად დაიღუპა ავტოკატასტროფაში 2023 წლის 14 თებერვალს. ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, მშობლებს, ახლობლებს, სამრევლოს და სრულიად ვალეს.



სულხან–საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დაარსებიდან 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2023 წლის 13 თებერვალს, უნივერსიტეტის დამფუძნებლები, სტუდენტები და პროფესორ–მასწავლებლები პაპ ფრანცისკეს შეხვდნენ.



„ძვირფასო მეგობრებო, თქვენი მუდამ ხალისიანი და მამაცი, სტუმრისა და სიცოცხლის მოყვარე ერი, ყველაზე შავბნელ პერიოდებშიც კი, სწორედ რწმენისა და კულტურის წყალობით ინარჩუნებდა ოპტიმისტურ განწყობას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია როლი კათოლიკე ეკლესიისა, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართველი ერის კულტურასა და ისტორიას. თქვენ ამ ღვაწლის გამგრძელებლები ხართ და რა კარგია, რომ თქვენი ოპტიმისტური და კონსტრუქციული განწყობით ასაზრდოებთ ქართულ მიწაზე კათოლიკური საკრებულოს მსახურებას, რათა იგი იქცეს იმ მარცვლად, რომელიც ყველასთვის გამოიღებს ნაყოფს. მოგიწოდებთ, განაგრძოთ ეს მორჩილი და ძმური მსახურება“.

პაპი ფრანცისკე



საბაოთხელი კათოლიკობა
საბაოთხელი საბა
THE BOSTON BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA – SABA

საბა

ISSN 2720-8001

ბიზნესი რეკლამების: კატოლიკური სააგენტო CSS
სარედაქციო კოორდინა: ნეკერი ბარბაქაძე, ვერიკო ნობინა, შორენა ძარეშელიძე, მუხამ ლაღინაძე, ეკონი ხოთინაძე
ბიზნესური მართვა: მადე, მხოლოდ სერვისი, თამარ ხვედრაძე
მისამართი: ვერხლი „საბა“ რედაქცია, ვო აბესაძის ქ. 74-ე ობიექტი, სტარბუკო
E-mail: saba.journal@gmail.com, რეგისტრაციის № 053, დარეგისტრირებულია ინტერნეტის მეშვეობით, © „საბა“